საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/62

ქ. ბათუმი **29 დეკემბერი, 2022 წ.**

ბსუ-ს მიერ საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანასთან დაკავშირებით მესამე მისიით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის და **ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის** (2018-2024წ.), ,,ერაზმუს+"-ის მიერ დაფინანსებული ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების პროექტის **„მესამე მისიის ხარისხისა და შესაბამისობის განვითარება ქართულ უნივერსიტეტებში** - Strengthenining the QUAlity and RElevance of the 3rd mission in Georgian Universities"/ **SQUARE)** , ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის სხდომის N07-02/12 ოქმისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითი საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ბსუ-ს მიერ საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანასთან დაკავშირებით მესამე მისიით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისათვის გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) **აქტივობების სახეობების და მათი განხორციელების შესაძლებლობების საკითხის განხილვისა და შეჯერების** მიზნით ბსუ-ს რექტორმა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ან/და მათი დავალებით ბსუ-ს რექტორის მოადგილეებმა/ბსუ-ს ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების დასაქმებულებმა, თავიანთი კომპეტენციის/მინიჭებული უფლებამოსილების **ფარგლებში გამართონ შეხვედრები/აწარმოონ კომუნიკაცია** ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებში, სახელმწიფო

დაწესებულებებთან, პარტნიორ დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან, გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმის მხარეებთან;

ბ) ბსუ-ს რექტორმა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, თავიანთი კომპეტენციის და ამ გადაწყვეტილებით მინიჭებული უფლებამოსილების **ფარგლებში ხელი მოაწერონ** სახელმწიფო დაწესებულებებთან, პარტნიორ დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან ბსუ-ს სახელით გასაფორმებელ **ხელშეკრულებებს/მემორანდუმებს** და წარმოუდგინონ წარმომადგენლობითი საბჭოს, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი აქტივობების განხორციელებისათვის (ან ბიუჯეტის ცვლილების საკითხზე) წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯემალ კარალიძე**